

დავით სართანია

ივანე ჯავახიშვილის  
სამეცნიერო მემკვიდრეობა

და

მისი გამოცემული

შრომები

თბილისი  
2009

UDC (უაკ) 94(479.22)(092)  
ს-286

წინამდებარე ნაშრომი არის ავტორის მიერ 2006 წ. 10 აპრილს ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე წაკითხული მოხსენების ტექსტი. სხდომას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ფ. ლომაშვილი, ა. სონდულაშვილი, გ. მანჯგალაძე, მ. მესხია, რ. დაუშვილი, ლ. გიგაური, მ. მაჭავარიანი და ისტორიის სპეციალობის სტუდენტები.

**რედაქტორი:**

**ფარნაოზ ლომაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:**

**ნუგზარ ანთელავა**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**გია ჩხიკვიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გამომცემლობა «თბილისი»

ISBN 978-9941-0-1137-5

ბატონებო!

მოგესალმებით ყველას და დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის. ამ დღეებში სრულდება [11 (23) აპრილი] დიდი ქართველი ისტორიკოსისა და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 130-ე წელი. უნივერსიტეტის ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელთან ბატონ ავთანდილ სონღულაშვილთან ერთად გადავწყვიტეთ ადრე შევკრებილიყავით და ამ საზეიმო თარიღისადმი საქმიანი სხდომა მიგვეძღვნა. ამიტომაც მოხსენების თემად ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობასთან მისი გამოცემული შრომების ადექვატურობის საკითხი ავირჩიეთ. ჩემს მოხსენებაში საზეიმო ვითარებისადმი უპრიანი ამალღებული ტონი და სახოტბო პათეტიკა არ იქნება, პირიქით, ვიქნები უფრო კრიტიკული დიდი წინაპრის ჯეროვნად დაუფასებლობის გამო, ვინმელო მდგომარეობა მომავალში მაინც გამოსწორდეს.

ივანე ჯავახიშვილი გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე წერდა: **“დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია და აჩქარება მჭირდება: ყოველნაირად უნდა ვეცადო, რომ უმთავრესი ნაშრომების გამოცემა მაინც მოვასწრო. როდესაც ავტორი მეცნიერი ცოცხალი აღარ არის, ძალიან ძნელია იმის გამორკვევა, თუ რანაირად დაამთავრებდა იგი, თითონ [რომ] მოესწრო კვლევა-ძიების დასრულება. უფრო ძნელი გასარკვევი იქნება ჩემს დაუმთავრებელ ნაშრომებში გარკვევა, რადგან ბევრ სხვადასხვა სამეცნიერო დარგზე მუშაობის გამო წერილობით სხვადასხვა დროს მაქვს ნაწილ-ნაწილ დაწერილი, მოუცლელობის გამო კვლევა-ძიება შეწყვეტილია იმ იმედით, შემდეგში მოვახერხებდი იმის დაწერას, რაც ჩემმა მეხსიერებამ იცის. თუ ამასთანავე იმასაც დავამატებთ, რომ ჩემს ნაწერებს სტამბაში მიცემამდის, გვერდების პაგინაცია წესად არა მაქვს, ადვილად წარმოიდგენთ, რომ უკეთესი იყო ჩემთვის შრომების გამოქვეყნებისთვის მომენდომებინა ის მცირე დრო, რომელიც დამრჩა სიცოცხლის სარბიელზე» [37].**

სამწუხაროდ მეცნიერის ეს შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა: არა თუ ძნელი გახდა მის ხელნაწერებში გარკვევა, არამედ მისი გამოცემული შრომების ერთიანობაში გააზრება და ხელახლა უხარვეზოდ გამოცემაც გაძნელდა. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, რომელიც აკადემიკოს ლევან ჭილაშვილისაგან მსმენია:

“მიმდინარეობს სამზადისი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად. უნივერსიტეტის რექტორთან შეიკრიბნენ გამოჩენილი ქართველოლოგები და მეცნიერის შრომების ახალ გამოცემაზე მსჯელობენ. თურმე ბატონი არნოლდ ჩიქობავამ იკითხა: ბატონებო! რატომ არაა ჩვენს შორის აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი? იგი ან არავინ მოიწვია ან თავად არ ჩათვალა საჭიროდ აქ ყოფილიყო. ერთიც და მეორეც ივანე ჯავახიშვილის უპატივცემულობაზე მეტყველებს, რაც დაუშვებელია». <sup>1</sup>

<sup>1</sup> როგორც ჩანს, გ. მელიქიშვილი მართლაც არ ყოფილა მიწვეული ამ შეკრებაზე. მოგვიანებით ეს შეცდომა იმით “გამოასწორეს», რომ მას ამ გამოცემაში მხოლოდ შესავალი წერილის მომზადება მიანდეს და მერე, 12 ტომეულის გახანგრძლივებული ბეჭდვის პროცესში, როცა გ. ჩიტაია გარდაიცვალა, რომელსაც ერთ-ერთი ტომის რედაქტორობა ჰქონდა დავალებული, ეს ფუნქცია მას დააკისრეს.

მანამდე კი, როგორც თსუ მუზეუმში დაცული ერთი დოკუმენტიდან (თსუ : 762 ხ 262) ირკვევა, ივანე ჯავახიშვილის 100 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა

მე მგონი უკვე გადმოვეცი ის ორი თეზისი, რომლითაც ხასიათდება ივანე ჯავახიშვილისადმი და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობისადმი ჩვენი დამოკიდებულება: მიუხედავად ამალღებული ფრაზეოლოგიისა, რომ ივანე ჯავახიშვილი არის დიდი ქართველი მეცნიერი და ა.შ., მაინც მის სამეცნიერო მემკვიდრეობას ჯეროვნად ვერ ვამჩნევთ და პიროვნებასაც სრულფასოვნად ვერ ვაფასებთ. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის ზედმიწევნით ცოდნაზე არც მე მაქვს პრეტენზია. ეს მთელი ცხოვრების საქმეა. აქ მხოლოდ იმაზე დაყრდნობით ვისაუბრებ, რა მასალებმაც ჩემს ხელთ ამჟამად მოიყარა თავი.

ივ. ჯავახიშვილის ცალკეული შრომები მის სიცოცხლეშიც და გარდაცვალების მერეც არაერთხელ გამოცემულა, მაგრამ მეტნაკლები სრული სახით მხოლოდ ერთხელ გამოიცა. ესაა თორმეტტომეული, რომელშიც შეეცადნენ ადრეული გამოცემების გამოცდილების მეტნაკლებად გათვალისწინებას. მისი ბეჭდვა 1977-1998 წწ. მანძილზე გრძელდებოდა. ამ საქმის ინიციატორებს და განმახორციელებლებს, ჩვენ რა თქმა უნდა, მადლობა უნდა ვუთხრათ, მაგრამ უკეთესის სურვილი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი უსათუოდ იმსახურებს, კრიტიკულ განწყობაზე გვაყენებს. ამ გამოცემამ გამოაჩინა სწორედ ყველა ის ხარვეზი, რომელიც თურმე არსებობდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დიდი მეცნიერის ნააზრევის გაგებასა და შეფასების მიმართ. ამდენად, იგი ლაკმუსის ქალაქად გვევლინება და ჩვენ, ყველანი ერთად, ვალდებულნი ვართ ანალიზის შედეგები ბოლომდე მივიყვანოთ. ვეცდები ვისაუბრო ფაქტებით.

თავდაპირველად მინდა შეგახსენოთ თხზულებათა 12-ტომეულში შემავალი ნაშრომთა თანმიმდევრობა:

12-ტომეულს ხსნის ივანე ჯავახიშვილის “ქართველი ერის ისტორია», რომელიც იკავებს I-III ტომებს. მას მოსდევს “საქართველოს ეკონომიური ისტორია» \_ IV-V ტომები. VI-VII ტომებში “ქართული სამართლის ისტორია» დაბეჭდილი. VIII ტომში მოცემულია “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა»-ს I წიგნი \_ “ძველი ქართული საისტორიო მწერლობა». IX ტომი საისტორიო დარგებს ეძღვნება და აქ ერთადაა თავმოყრილი “ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია», “ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა» და “ქართული საფას-საზომმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია». X ტომი მთლიანად ენათმეცნიერების პრობლემებს ეხება და ამ გამოკვლევის სათაურია “ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა». XI ტომში დაბეჭდილია სამი ნაშრომი: “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები», “ძველი სომხური საისტორიო მწერლობა» და “ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები». ბოლოს თორმეტტომეულს აგვირგვინებს მეცნიერის ადრემეცნიერი ცალკეული შრომების კრებული.

ამ გამოცემით დიდი საქმე გაკეთდა. აქამდე ასე ერთ გამოცემაში მეცნიერის შრომები არ გამოსულა. მანამდე ივანე ჯავახიშვილის მხოლოდ ცალკეული შრომები გამოდიოდა. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ის პიროვნებაა, რომელსაც უკეთესი ეკადრებოდა. ამისთვის

---

სხვაგანაც ფიქრობდნენ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შეუქმნია ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 15-ტომეულის მთავარი სარედაქციო კოლეგია აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის თავმჯდომარეობით. სამწუხაროდ, 15-ტომეულის ნაცვლად 12-ტომეული მივიღეთ და ისიც ხარვეზებით გამოცემული.

კი მეტი მონდომებისა და პასუხისმგებლობის გამოჩენა იყო საჭირო. საქები ეპითეტების მიღმა საქმე უნდა მდგარიყო.

ერთ კუროსს გავიხსენებ რომელიც გაზეთმა “ქართული წიგნი» გამოავლინა. [4, 9]. 12-ტომეულის IX ტომში დაბეჭდილია და XII ტომში ისევ მეორდება ივანე ჯავახიშვილის ერთი და იგივე სამი შრომა. ესენია:

1. К вопросу о времени построения грузинского храма в Атени по вновь обследованными эпиграфическими памятниками ( IX ტომში გვ. 360-380 და XII ტომში გვ. 300-346);

2. რეცენზია წიგნზე: Е. Такашвили, “Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Импер. Московского Археологического Общества» XII вып. (162-V-XII) в страниц ( Москва, 1909). ( IX ტომში გვ. 353-359 და XII ტომში გვ. 370-375);

3. რეცენზია წიგნზე: Е.А. Пахомов “Монеты Грузии» Часть I (домонгольский период), “ Зап. Нумизм. 1. Отд. Имп. Русск. Археол. Общества », IV вып. I тома , 129 страниц ( СПб., 1910). ( IX ტომში გვ. 676-678 და XII ტომში გვ. 376-385);

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში დაბეჭდილი შრომებში მითითებები სქოლიოში არაა ჩატანილი, არამედ თავად ტექსტშია მოცემული. ახალ გამოცემაში ეს მითითებები მეტწილად ხელუხლებლად და დატოვებული და მკითხველს რომ მეცნიერის მითითებული თხზულების სათანადო ადგილის გაცნობა მოუნდეს, ვერ მიაგნებს, თუ ადრეგამოცემული ნაშრომი არ ნახა და შემდეგ ახალგამოცემულში იგივე პარაგრაფს არ დაუწყო ძებნა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1. 12-ტომეულის I ტომში 360-ე გვერდზე საუბარია სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის ცნობების არაბულ ვერსიაზე და მითითებულია: “(იხ. აქვე, გვ. 188)». მაგრამ 12-ტომეულის I ტომის 188-ე გვერდზე ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მითითებული უნდა იყოს 228-ე გვერდი. ეს შეცდომით არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ ეს ტექსტი ავტომატურად არის გადმოღებული ავტორის შესაბამისი ნაშრომის 1960 წლის ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემიდან. სწორედ აქაა ზუსტად ამდაგვარი მითითება მოცემული. [17].

2. 12-ტომეულის I ტომში 361-ე გვერდზე საუბარია მ. ბროსეს მიერ მოყვანილი ფაუსტოსის ცნობაზე და მითითებულია: “(იხ. ზემოთ გვ. 318)». აქ უფრო ნიშანდობლივი ვითარებაა. რა თქმა უნდა, 12-ტომეულში 318-ე გვერდზე ამდაგვარი რამ არ არის ( არის 360-ე გვერდზე), მაგრამ ს. ყაუხჩიშვილისეულ 1960 წლის გამოცემაშიც ამ გვერდზე აღნიშნულ თემაზე არაფერია ნათქვამი, შეცდომაა და უნდა იყოს 320-ე გვერდი. [17]. ეს შეცდომა ახალ გამოცემაში ხელუხლებლად და გადმოსული, რადგანაც რედაქციას ამგვარი საკითხებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ტექსტი შეუმოწმებლად და დაბეჭდილი. ვნახოთ სხვა ტომი.

3. 12-ტომეულის VI ტომში 196-ე გვერდზე საუბარია მოსახლეობის ერთეულის აღნიშვნელ ტერმინზე “კომლი» და არის ასეთი მითითება: “(საქართველოს ეკონომიური ისტორია, I. 16-17)». ამ გვერდებზე კი აღნიშნულ საკითხებზე საუბარი არაა. მითითება გულისხმობს 1907 წ. გამოსულ “საქართველოს ეკონომიური ისტორიას». [12]. სწორედ აქაა ამ გვერდებზე მოცემულ საკითხზე საუბარი.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ 12-ტომეულის VI ტომი გამოვიდა 1982 წ. და “საქართველოს ეკონომიური ისტორიის» შესაბამისი ტომები მომდევნო წლებში (1986 და 1996

წწ.) და ადრე გამოცემულში შემდეგგამოცემული ტომების გვერდების გათვალისწინება ვერ მოხერხდებოდაო, მაგრამ საპირისპირო ვითარებაშიც ხომ იგივე სურათი გვაქვს? მოვიყვან მხოლოდ 2 მაგალითს:

1. 12-ტომეულის IV ტომში, სადაც დაბეჭდილია “საქართველოს ეკონომიური ისტორიის» I ნაწილი 69-გვერდზე ავტორი გვიყვება საფინანსო დაწესებულებასა და მოხელეების შესახებ “ქართული სამართლის ისტორიაში» გვექონდაო ზოგადი საუბარი და მითითებულია: “(იხ. II, გვ. 167-179 და 182-195)». 12-ტომეულის “ქართული სამართლის ისტორიის» შესაბამის ტომში ამ გვერდებზე ამაოდ დავუწყებთ ძებნას მოცემულ საკითხებს. მითითება ეხება “ქართული სამართლის ისტორიის» 1928 წლისეულ გამოცემას. [13].

2. 12-ტომეულის IV ტომში საუბარია ტერმინებზე “სახსენებლები» და “ალაპები». ავტორი წერს: “ ამ ორი ტერმინის მნიშვნელობა და იურიდიული ბუნება «ქართული სამართლის ისტორიის» II ხ-ში მაქვს განმარტებული (იხ. გვ. 436-438)». 12-ტომეულის შესაბამის (VII) ტომში ეს მასალა მოცემულია 315-ე გვერდზე. აქაც მითითება ძველ გამოცემას გულისხმობს. [13 ].

ეს იმიტომ მოხდა, რომ “საქართველოს ეკონომიური ისტორიის» ახალ გამოცემაში ტექსტი წინა გამოცემის მიხედვით დაბეჭდეს, რომელიც განხორციელდა 1930 და 1934 წლებში. იქ კი ავტორი, სრულიად ბუნებრივად, მითითებას “ქართული სამართლის ისტორიის» 1928-1929 წლების გამოცემაზე აკეთებდა. მგონი სურათი ნათელია.

ისტორიკოსი მამია დუმბაძე ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ ნაშრომში წერს: “ამოურწყავი ენერგიისა და დიდი ნიჭის მქონე მეცნიერს აღნიშნული ოთხი ნაშრომი (Государственный строй древней Грузии и древней Армении; საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია; საქართველოს ეკონომიური ისტორია; ქართველი ერის ისტორია. დ.ს.) გარკვეულ მთლიანობაში ჰქონდა გააზრებული. საქართველოს ისტორიის წყაროებზე მუშაობის პროცესში იგი ხელმძღვანელობდა ერთგვარი **ტოტალური გეგმით** და მიზნად ისახავდა სხვადასხვა პრობლემებსა და თემაზე საჭირო მასალების ერთდროულად დაგროვებას. კვლევის თავისებური მეთოდით იგი სწავლობდა დიდი, ყოვლისმომცველი ისტორიის დარგებს \_ სახელმწიფოებრივი ცხოვრება და სამართალი, ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. ამას მომდევნო ეტაპზე ემატება ისტორიის დამხმარე დისციპლინათა მთელი სერია. დასახელებული ნაშრომები, ავტორის წარმოდგენით, **ქმნიდა ეროვნული ისტორიის დიდ “შენობას»**(ხაზგასმა ჩემია, დ.ს.). [2, 62].

ასეთ აღმატებით ხარისხში ივანე ჯავახიშვილის მოხსენიება თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ საინტერესოა მის მიღმა დარჩენილი კონკრეტიკა. “გარკვეულ მთლიანობაში», “ტოტალური გეგმით» შექმნილი “დიდი შენობა» კონკრეტულ საქმეში რა კონფიგურაციისა ხომ უნდა გამოჩნდეს? 12-ტომეული ამ მხრივ იმედს გვიცრუებს.

თავისი შრომების სტრუქტურა ისე ჰქონდა მეცნიერს გააზრებული, როგორც 12-ტომეულშია დალაგებული? ივანე ჯავახიშვილს “ქართველი ერის ისტორია» მიაჩნდა იმ გამოკვლევად, რომლითაც უნდა დაეწყო მკითხველს მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის გაცნობა? იქნებ საერთოდ არა ჰქონია მას რაიმე გეგმა, თვალსაზრისი, რომლითაც მისი შრომები ერთმანეთს ებმის და უკავშირდება? მართალია მეცნიერის გეგმა ხშირად იცვლება და ეს სრულიად ბუნებრივი პროცესიც თავისთავად საინტერესოა და მისი თვალის გადევნებაც ყურადსაღები.

1908 წ. ივანე ჯავახიშვილი თავისი “ქართველი ერის ისტორიის» I ტომში (პირველი გამოცემა) მიუთითებდა: ეს შრომა “ოთხ წიგნადა მაქვს განზრახული: პირველი წიგნი უძველეს ხანას შეიცავს ვიდრე VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე; მეორე – VII-XIII საუკუნემდე, მესამე – XIII-XV საუკუნეები, მეოთხე XVI-XVIII საუკუნის დასასრულამდე». [18, 32]. მოგვიანებით, საჭირო საისტორიო მასალების უხვად დაგროვებამ მეცნიერი იძულებული გახდა პირვანდელი გეგმა შეეცვალა. უმჯობესია თავად ავტორს მოვუსმინოთ: “ქართველი ერის ისტორიის დაწერას რომ შევუდეგი, მთელი შრომა ოთხ წიგნად მქონდა ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მეცამეტე საუკუნითგან მოყოლებული ჩვენი სამშობლოსა და ერის თავგადასავალის უტყუარი სურათის აღდგენა წყაროების მეტად დიდ კრიტიკულ განხილვას მოითხოვს და ოთხი წიგნი ამის გამო საკმარისი არ იქნებოდა.... რათგან XIII საუკუნისა და XIV საუკუნის დასასრულს საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებას მონდოლთა ბატონობა თავისებურს ელფერს ადებს, გადავწყვიტე XIII-XIV სს-ისათვის ცალკე წიგნი მეძღვნა. ამგვარად, უფრო მიზანშეწონილად ვცანი ეს ხანა მესამე ტომად გამომეყო, XV-XVI სს. – კი მეოთხე წიგნად მექცია, რომ XVII და XVIII სს. ამბები მეხუთე წიგნში ყოფილიყო მოქცეული.» [19, 237].

ამდენად, თავდაპირველი ოთხტომეული ხუთტომეულად იქცა. როგორ განხორციელდა ეს გეგმა და როგორ გამოიცა ისინი?

“ქართველი ერის ისტორიის» I წიგნი პირველად 1908 წ. გამოიცა. შემდეგ მეცნიერის სიცოცხლეში 1913 და 1928 წლებში გამოვიდა. ახალ გამოცემაში ივანე ჯავახიშვილი მას ახალი მასალებით ავსებდა, ადრინდელ დებულებას ახლით ცვლიდა. შემდეგში ეს ნაშრომი ს. ყაუხჩიშვილმა 1951 და 1960 წლებში ორჯერ გამოსცა და ბოლოს ვ. გაბაშვილის რედაქტორობით 12-ტომეულის I ტომში დაიბეჭდა. ამ სამივე უკანასკნელ გამოცემაში ივანე ჯავახიშვილის საბოლოო ვარიანტია მოცემული. ამავე ნაშრომის II წიგნი გამოიცა 1914, 1948 და 1965 წლებში და იქაც ძირითადად მეცნიერის ხელიდან გამოსული ვარიანტია მოცემული. რაც შეეხება დანარჩენ 3 წიგნს, საქმე რთულადაა. ეს წიგნები მეცნიერს ყველა ერთნაირი სისრულით დამუშავებული არ დაუტოვებია. დიდი ნაწილი მასალების სახითდარჩა და შემდეგში ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა. რატომღაც 12-ტომეულში ეს არ გაითვალისწინეს და III ტომში მეცნიერის ამ 3 წიგნიდან შევიდა 1941 წ. გამოქვეყნებული III ტომისა და 1924 წ. გამოსულ IV ტომის მიხედვით. ამდენად, 12 ტომეულის III ტომში შევიდა ივანე ჯავახიშვილისეული III წიგნისა და IV წიგნის XV ს. ამსახველი ტექსტი. რაც შეეხება მეცნიერის IV წიგნში ნაგულისხმევ XVI ს.-ისა და V წიგნის XVII-XVIII სს. ამსახველ მასალებს 12-ტომეულის გარეთ დარჩა. ამით ივანე ჯავახიშვილისეული ხუთწიგნეულის სტრუქტურა დაირღვა. რედაქტორი მ. დუმბაძე საკმაო სისრულით გადმოგვცემს თუ როგორ დააკომპლექტა აღნიშნული ტომი, მაგრამ ეს სრულებითაც ვერ აბათილებს იმ აზრს, რომ მეცნიერის ხუთწიგნეული ხუთწიგნეულად უნდა დარჩენილიყო და ისე უნდა დაბეჭდილიყო, როგორც ეს ს. ყაუხჩიშვილმა გააკეთა. მხოლოდ დედნის ზედმიწევნით ზუსტად დაცვაზე უნდა გვეზრუნა.

გარდა ამისა აღსანიშნავია ერთი მეტად ნიშანდობლივი ფაქტი, რომელიც კარგად ამჟღავნებს და გვისურათებს იმ პროცესს, თუ როგორ მიმდინარეობდა ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულის მომზადება. ისტორიკოსი ვ. კიკნაძე მონაწილეობდა ამ 12-ტომეულის III ტომის გამოსაცემად მომზადებაში. ვ. კიკნაძემ ნაბეჭდი ტექსტი შეუდარა მეცნი-

ერის ხელნაწერ დედანს, თუმცა მისი გაწეული შრომა ფუჭი აღმოჩნდა - იგი არავინ გაითვალისწინა და ეს ტომი კვლავ იგივე ხარვეზებით დაიბეჭდა. ამის შესახებ ვ. კიკნაძე აღნიშნავს: 12 ტომეულის III ტომში ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის ხარვეზები გასწორდა. კერძოდ “აღდგენილია სქოლიოები, გასწორდა აშკარა კორექტურული შეცდომები, დაემატა შემოკლებულ სქოლიოთა განმარტებანი, გაკეთდა კომენტარები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამოცემაც მთლიანად ვერ მიუახლოვდა ხელნაწერ დედანს. საქართველოს ისტორიის და ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის შემსწავლელი მკვლევართვის კი ივ. ჯავახიშვილის თითოეულ სიტყვას, თითოეულ განმარტებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მით უფრო, რომ დედანში, უმეტესად უკეთესი ტექსტია შემონახული, ვიდრე გამოცემებში ვხვდებით».[5, 135-136]. საილუსტრაციოდ ორიოდ მაგალითს მოვიყვან ვ. კიკნაძის წერილიდან:

1. დაბეჭდილია: “რუსუდანს, რომელსაც თავის სიცოცხლის განმავლობაში ისედაც ბევრი უბედურება ჰქონდა ნანახი...». დედანშია: “რომელსაც სიცოცხლის განმავლობაში თავისი ქვეყნის ბევრი უბედურება ჰქონდა ნანახი».[ 5, 137].

2. დაბეჭდილია: “ბევრი რამე იყო დამოკიდებული. რაკი მონღოლთა ...» დედანშია: “ბევრი რამე იყო დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ასეთი ხალხი თავიანთი ქონების უპირატესობით, პირადი კეთილდღეობისა და ქონებრივი სიმდიდრის ხელში ჩასაგდებადაც უხვად სარგებლობდნენ. რაკი მონღოლთა ...». როგორც ჩანს, აქ მთელი წინადადებაა ამოღებული. .[ 5, 137].

3. დაბეჭდილია: “ამ მხრივ იგი ( საუბარია დემეტრე II-ზე, დ.ს.) გიორგი ლაშას მიაგავს». დედანში ამას მოსდევს: “მაგრამ სამაგიეროდ, მისგან იმით განსხვავდება, რომ თუ ლაშამ თავის გულის სატრფოს დაკარგვის შემდგომ, სიკვდილამდე ცოლი აღარ შეირთო, დემეტრე II-მ, პირიქით, ერთი ცოლით, თავისი სქესობრივი გრძნობა ვერ დაიკმაყოფილა და სამსაც კი გაუნაწილა». როგორც ეტყობა, ივანე ჯავახიშვილის მიერ დემეტრე თავდადებულის ასეთი შეფასება მეტად მკაცრად მოეჩვენათ და “გაუსწორეს». [5, 138].

ვ. კიკნაძეს საკმაო მაგალითები მოაქვს და ასკვნის “არის დედნის ტექსტის გაბუნდონების, თითქმის დამახინჯების შემთხვევებიც კი. ხშირად არ არის გადმოცემული ესა თუ ის ნიუანსი, რისი თქმაც სურდა ივანე ჯავახიშვილს. ზოგჯერ გვხვდება კურიოზული შემთხვევებიც, როცა ტექსტს პირველ პირში ემატება ისეთი ფრაზები, რაც დედანში არ არის. [5, 136] ... სწორი და დახვეწილი ფრაზები შეიცვალა გაუმართლებელი სუროგატებით. ზოგჯერ კი, მთელი აზრები ამოვარდა, ყოველგვარი მითითების გარეშე». [5, 138].

ეს რაც შეეხება ტექსტის ავთენტურობას, რომელიც მარტო ერთი ტომის ხარვეზი არ არის. ამის დამადასტურებელ ფაქტებს, თუ დავაკვირდებით, ქვემოთ მოტანილ მაგალითებშიც ვიპოვით და აქ ამაზე საუბარს არ გავაგრძელებ. დავუბრუნდები ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო შენობის საკითხს. ცალსახაა, რომ “ქართველი ერის ისტორია» არ არის ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო შენობის საძირკველი. ამის შესახებ თავად მეცნიერი არაერთგზის უთითებდა, რასაც ყველა კითხულობდა, ციტატებშიც მოიხსენიებდნენ, მაგრამ რატომღაც არავინ ითვალისწინებდა. მოვიყვანოთ მაგალითები:

ივანე ჯავახიშვილი თავისი “ქართველი ერის ისტორიის» გადამუშავებული ვარიანტის ( III გამოცემა) წინასიტყვაობაში 1928 წ. მიუთითებდა: “ქართველი ერის ისტორიის» გეგმა იმ მხრივ არის შეცვლილი, რომ წინა გამოცემის ორივე წიგნის პირველი თავი, რომელშიაც საქართველოს საისტორიო გეოგრაფია და ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური



პრობლემები იყო განხილული, გამოცალკევებულია და მთლიან წიგნად არის გამოყოფილი, რომელიც **“ქართველი ერის ისტორიის» შესავალი წიგნი იქმნება»** [18, 39]. მეცნიერი ამავე აზრს იგივე ტომში მეორეგანაც იმეორებს: “ ქართული წარმართობის შემადგენელი პირვანდელი ტომობრივი ელემენტების გამორკვევაც ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია, მაგრამ რაკი ეს საკითხები უშუბველეს ხანას ეხება და თანაცქართველი ერის სხვა მონათესავე ერთა წარმართობასთან ერთად უნდა იქმნეს განხილული, ამიტომ იგი ცალკეა გამოყოფილი და **“ქართველი ერის ისტორიის» შესავალ წიგნშია** (ხაზი ჩემია, დ.ს.) მოთავსებული». [18, 187]. აქედან მარტივი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: მეცნიერს უკვე დაწერილი აქვს ან ამზადებს ნაშრომს, რომელიც **“ქართველი ერის ისტორიის» შესავალადაა მოაზრებული**. იგი კი იმ ნაშრომს უნდა უძლოდეს წინ, რომლის შესავალადაც ითვლება. მაგრამ აქ ჩვენი ლოგიკური მსჯელობა უადგილოა. მეცნიერი ამის შესახებ თავადვე უთითებს **“ქართველი ერის ისტორიის» I წიგნის მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში**: “ამ პირველი წიგნის (მხედველობაშია **“ქართველი ერის ისტორიის» I წიგნი**, დ.ს.) არა ერთი საკითხის გასაგებად იმ ცნობებისა და დებულებათა გათვალისწინებაა საჭირო, რომელიც ამ **შესავალ** (რომელიც უკვე ახსენა და მეც ზემოთ მოვიყვანე, დ.ს.) **წიგნშია** განხილული და წამოყენებული. ამიტომ **პირველად**, რასაკვირველია, **ის უნდა დაბეჭდილიყო და შემდეგ წინამდებარე პირველი წიგნი**, მაგრამ სხვადასხვა გარემოების წყალობით წინაუკმო მოხდა». [18, 39].

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის აზრით, **“ქართველი ერის ისტორია»-ს წინ უნდა უძლოდეს ნაშრომი, რომელსაც “შესავლის» სახელით მოიხსენიებს**. რას ეხება ეს შესავალი წიგნი? ამის შესახებ ზემოთ დამოწმებულ ციტატაშია ნათქვამი, რომ ესაა **“საქართველოს საისტორიო გეოგრაფია და ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები»**. ივანე ჯავახიშვილი იქვე აზუსტებს, რომ ამ წიგნში **“მცირე აზიისა, კავკასიისა და საქართველოს ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები იქმნება განხილული»**. [18, 39]. უფრო ვრცლად კი თუ რას ეხება ეს **“შესავალი»** ჩანს მეცნიერის არქივში დაცული მასალიდან. მოვიყვან ამ დოკუმენტს მთლიანად:

### “საქართველოს ისტორიის შესავლის პროგრამა

1. ძველი და საშუალო საუკუნეების გეოგრაფებისა და ისტორიკოსების წყაროები კავკასიის შესახებ: მათი თეორიები აქაურ მოსახლეობის სადაურობისა და მონათესაობაზე. კავკასიაში მცხოვრები ერებისა და ტომების სახელები საუკუნეთა განმავლობაში, მათი ბინადრობის მიწა-წყალი უძველეს დროითგან მოყოლებული მე-XV ს-მდე ამიერკავკასიაში და მე-XVIII ს-მდე იმიერკავკასიაში მოსახლეობის საზღვრების ცვალებადობის გზები და ცვლილებები.

2. ცნობები იმიერ-ამიერკავკასიის მოსახლეობის ეროვნული და ენობრივი დამოკიდებულების შესახებ ძველად და შემდეგში. მონათესავე და უცხო ერთეულები,

3. იმიერკავკასიის მოსახლეობის ეროვნული მიკუთვნებულობა და შემადგენლობა, დიდი და პატარა ერთეულების სახელების ანალიზი და ადგილობრივი გარდმოცემა მათი სადაურობასა და მონათესაობაზე.

4. ამიერკავკასიის მოსახლეობის მთავარი ეროვნული შემადგენელი ერთეულები, მათი ტომობრივი დანაწილება და ეროვნული მიკუთვნებულება ძველად და შემდეგში.

5. ამიერ-იმიერკავკასიის მოსახლეობის ენობრივი რაობის პრობლემა. ძველი და მე- XIX-XX ს. მოძღვრება და თეორიები ამის შესახებ. ლინგვისტიკური მწერლობის ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა და მოპოვებული შედეგის შეფასება.

6. აქამდე გაწეული მუშაობის მოპოვებული შედეგის იმედაცრუებულობის მიზეზი და ენათა თავდაპირველი აგებულების გამოსარკვევად გამოსადეგი მეთოდები და კვლევა-ძიებისათვის საჭირო არე. პრობლემის მთავარ საკითხებზე კავკასიის ენათა ბგერების შემადგენლობის თავისებურება და მათ გამოსახატავად სხვადასხვა მკვლევართაგან მიღებული ნიშნები, მათი ტრანსკრიფცია.

7. გრამატიკული სქეს-კატეგორების არსებობის დასაწყისითგანობის საკითხი ჩრდილო კავკასიის ცნებებში: მათი თანამედროვე და პირვანდელი ნიშნები და ცვალებადობის მიზეზი ენების უსქესკატეგორიო ჯგუფის ურთიერთობა სქესკატეგორიებთან და სქესკატეგორიანობის საყოველთაობის საკითხი ჩრდილო კავკასიის ენებში.

8. მოძღვრება გრამატიკული სქესის შესახებ ქართულში ძველად და ახლა. ქართულის უსქესკატეგორიანობა დასაწყისთაგანი მოვლენაა თუ არა?

9. რიცხვითი სახელები კავკასიის ენებში და ქართულ-ქართველურში, აწინდელი სისტემა და წინანდელის კვალი, რიცხვითი სახელების განსხვავება და მათი შემადგენელი ნაწილები. რიცხვითი სახელების ძირების პრობლემა.

10. კავკასიური ენების და ქართულის კლასიფიკაცია ნაცვალსახელებისდა მიხედვით მათი ძირითადი განსხვავების საფიქრებელი მიზეზი.

11. ზმნის აგებულება ჩრდილო კავკასიის ენათა დასავლურ და აღმოსავლურ ენებში და ქართულ-ქართველურში. რომელი ამ სისტემათაგანი უნდა უძველესი და რომელი მერმინდელი იყოს?

12. კავკასიის ენებისა და ქართულ-ქართველურის თავდაპირველი აგებულების მთავარი დამახასიათებელი თვისებები, მონათესაობის საკითხი და მათი მერმინდელი დაშორების მიზეზები. ძირთა ნათესაობის ხანა და პრობლემა.

13. კავკასიელთა და ქართველთა საერთო თავდაპირველი კულტურული მარაგი ნივთიერი და სულიერი კულტურის სფეროში ენის ანალიზის და არქეოლოგიური ნაშთებისდა მიხედვით.» [ 33, ფ. 32]

ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულია “ქართველი ერის ისტორიის შესავლის» წინასიტყვა, სადაც ვკითხულობთ:

“ ქართველთა ტომობრივი და ენობრივი ნათესაობის და უძველესი ხანის კულტურის შესახებ “ქართველი ერის ისტორიის» ... ახალი მესამე გამოცემისათვის (გამოიცა 1928 წ. დ.ს.) წინასწარი მუშაობის დროს ზემოაღნიშნული საკითხების გულდასმითმა, ხანგრძლივმა შესწავლამ იმდენად მოულოდნელი და საგულისხმო შედეგი მოგვცა და თანაც ყველა დასახული მიზნებისა და წამოჭრილი პრობლემების გასაშუქებლად იმდენად ყველა ფართოდ და გაღრმავებით მოგვიხდა კვლევა-ძიების წარმოება რომ მთელი მონაპოვარი უკვე მარტო ქართველი ერისა კი არა, არამედ არსებითად კავკასიისა და ნაწილობრივ თვით მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის უძველესი ხანის შესავლადაც იქცა. ამის გამო იძულებული ვიყავი ეს შესავალი “ქართველი ერის ისტორიის» წიგნების კრებულთაგან ცალკე გამოგვეყო.

ყოველი ერის ნათესაობის საკითხი ანთროპოლოგიურ-ეთნოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით უნდა იყოს განხილული და ჩვენი შესავალიც ამ პრობლემის გადასაჭ-

რელად ამის გამო **ორ ნაწილად, ორ წიგნად** (შეცდომაა, უნდა ეწეროს სამ წიგნად, დ.ს.) არის დაყოფილი: **პირველ წიგნში** ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური საკითხებია განხილული, **მეორე წიგნში** კი ქართულ-ქართველური და ე.წ. კავკასიის ენების თავდაპირველი აგებულებისა და ბუნების ისევე, როგორც ნათესაობის პრობლემებსა აქვს დათმობილი, **მესამე წიგნი** ( ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) ქართველთა და ე.წ. კავკასიელთა თავდაპირველ კულტურას ეხება ენოვანი და ნივთიერი ნიშნებისა და მიხედვით» [32, ფ. 119-123]. ამდენად, ზემოთმოყვანილ ივ. ჯავახიშვილისეულპროგრამას ამ წინასიტყვას შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ “პროგრამის» 1-4 მუხლები ეხება “შესავლის» I წიგნს, 5-12 II წიგნს და 13 კი III წიგნს.

1937 წ. ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი “ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა». ამ წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს: “წინამდებარე გამოკვლევა მეორე წიგნია იმ სამეულად განზრახულისა და დაწერილისაგან, რომელშიც ქართველთა უძველესი ხანის ენისა და კულტურის მთავარი საკითხები უნდა იყოს განხილულ-გაშუქებული» [24, XI]. სადაა დანარჩენი 2 წიგნი? ისინი მეცნიერის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ხოლო მისი გარდაცვალების მერე აკად. გიორგი ჩიტაიამ 1950 წ. სარქივო მასალების მიხედვით გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი სათაურით “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები». ეს ნაშრომი 12- ტომეულის XI ტომში ა გ. მელიქიშვილის რედაქტორობით ერთ-ერთ ნაწილად შევიდა. აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ამ ნაშრომის სატიტულო ფურცელზე მითითებულია, რომ იგი წარმოადგენს “ქართველი ერის ისტორიის» შესავალის I წიგნს. ანალოგიური მითითება არა აქვს 12 ტომეულის X ტომს. არადა ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოცემულში კი ვხედავთ. რატომ მოხდა ახალ გამოცემაში მისი ამოღება? ამის შესახებ რედაქტორები დუმან.

სადაა ივანე ჯავახიშვილის სამეულად ნაგულისხმევი შრომის მესამე წიგნი? ამის შესახებ ამ გამოცემების რედაქტორები არაფერს გვეუბნებიან, მხოლოდ გ. ჩიტაია სხვა ნაშრომში აღნიშნავს: “ამავე ასპექტშია (ურთიერთმონათესავეობის თვალსაზრისზე, დ.ს.) განხილული ჩრდილოკავკასიელებისა-შარმატებისა და ქართველ-ქართველური ტომების უძველესი მსოფლმხედველობის და წარმართული პანთეონის პრობლემები ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე. ეს პრობლემები შესულია ქართველი ერის ისტორიის შესავლის პირველ წიგნში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის მიერ დასმული პრობლემის გაშუქებას არქეოლოგიური განათხარი მასალის მიხედვით, ეს სამუშაო შეუსრულებელი დარჩა» [10, 23-24]. გ. ჩიტაიას მხედველობაში აქვს ის საკითხები, რომელიც ივ. ჯავახიშვილს სამეულის მესამე წიგნის შინაარსად ეგულებოდა. მართლაც, ივ. ჯავახიშვილი თავადვე ამბობდა თუ რა ექნებოდა განხილული მესამე წიგნში. მოვუსმინოთ: “ ქართველთა და კავკასიელთა უძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი იქნება წარმოდგენილი ენისა, ზნე-ჩვეულებათა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის სახით» [24, XI].

ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული ხელნაწერის პირველი გამომცემელი გ. ჩიტაია ამბობს: “წიგნი იბეჭდება ავტორის ხელნაწერი დედნის მიხედვით, რომელიც განსვენებულის არქივში არის დაცული. ხელნაწერი ხუთი შეკვრის სახითაა წარმოდგენილი. ... რომელთაგან თითოეული შეკვრა ზემოთდასახელებული წიგნის ცალკეული თავისთვის

იყო განკუთვნილი. ... დედანს არა აქვს საბოლოოდ დასრულებული სახე, პარაგრაფები და თავები დასათაურებული არ არის ორი გამონაკლისის გარდა (“ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა, კოსმოლოგია და რწმენა» და “ქართველთა წარმართული პანთეონის წარმომშობელი ტომები. ღმერთი»). ხელნაწერს არა აქვს პაგინაცია, რომელსაც ავტორი ჩვეულებისამებრ საბოლოოდ დამუშავებისას უკეთებდა ხოლმე. ნაშრომში წამოყენებული საკითხები მეტწილად დამუშავების საბოლოო საფეხურამდეა მიყვანილი, მაგრამ აკლია დებულებების სახით ჩამოყალიბებული დასკვნითი ნაწილი» [9, 9].

ყურადღების მიქცევას საჭიროებს შემდეგი გარემოება: გ. ჩიტაია აქ 5 შეკვრას ასახელებს, რომელიც თურმე ნაშრომის თითოეულ თავს შეესაბამება. გამოცემულ წიგნში კი 6 თავია. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობაში 4 შეკვრაა აღნიშნული, ადგილზე კი 6 შეკვრა დევს. ალბათ უნებლიე შეცდომაა, მაგრამ საინტერესო უფრო ისაა თუ რატომ ჩათვალა გ. ჩიტაიამ ეს შეკვრები ერთ ნაშრომად? რის მიხედვით განსაზღვრა მან ამ შეკვრათა, შესაბამისად თავების, თანმიმდევრობა? რატომ მოათავსა ორი დასათაურებული თავი ნაშრომის ბოლოში? ამ კითხვებზე გ. ჩიტაია პასუხს არ იძლევა. რაც შეეხება პირველ 4 თავს იგი გ. ჩიტაიამ შემდეგნაირად დაასათაურა:

1. წინა აზიის ძველი მოსახლეობა;
2. ამიერკავკასიის ძველი მოსახლეობა;
3. ამიერ-იმერ-კავკასიური და წინააზიური სახელები;
4. სკვითებისა და სარმატების ჩამომავლობა.

თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამ 4 თავისა და ბოლო 2 თავის, ივ. ჯავახიშვილის მიერ დასათაურებულის (“ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა, კოსმოლოგია და რწმენა» და “ქართველთა წარმართული პანთეონის წარმომშობელი ტომები. ღმერთი»), შინაარსები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამკარაა, რომ ეს ბოლო 2 თავი წინა 4 თავის გაგრძელება არაა. ამის მიზეზი ისაა, რომ აქ ერთმანეთშია არეული “ქართველი ერის ისტორიის შესავლის» I და III წიგნები. ეს ვარაუდი მტკიცდება ივ. ჯავახიშვილის დოკუმენტური მოწმობითაც. ივ. ჯავახიშვილი 1937 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში, “ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებასა და კულტურის ისტორიის სფეროში,» ამბობს, რომ “ქართველი ერის ისტორიის» I ტომში განხილულია “მელიაი ტელეფიაი»-ს ჩვეულება და ახლახან გერმანიიდან მოსულ ჟურნალში “ჩვენი წელთაღრიცხვის 14 საუკუნის უწინარესი» ხეთური ლურსმული ტექსტია დაბეჭდილი და მასში ღვთაება ტელეფუნეშხეა საუბარი. “ამგვარად, მე-20 საუკუნის დამდეგამდე საქართველოში დაცულს ხალხურ ზნე-ჩვეულებასა და ამ წარმართულ საგალობელს უკვე ამ 33 საუკუნის წინათ ხეთების მიერ აღბეჭდილი რწმენისა და თქმულების ანარეკლი დაუცავს. რასაკვირველია, ეს საუცხოო ცნობა მაშინვე “ქართველი ერის ისტორიის» შესავალის მესამე წიგნისთვის (ხაზი ჩემია, დ.ს.) გამოვიყენე და ჩემს ხელნაწერში შევიტანე» [ 16, 95]. ახლა ჩავიხედოთ გ. ჩიტაიას მიერ გამოცემულ ივანე ჯავახიშვილისეულ ნაშრომში და იქ მართლაც აღმოვაჩინეთ აღნიშნულ თემაზე მიძღვნილ გვერდებს [25, 199], თანაც იქვე მითითებულია ის ხეთური ტექსტი, რომელიც მეცნიერმა გერმანულ ჟურნალში ნახა. ამ ჟურნალზე მითითება ორივეგანაა, ისეთი სიზუსტით, როგორც ჩვეოდა ივანე ჯავახიშვილს. ამდენად, “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემების» დაბეჭდილ წიგნში ბოლო 2 თავი “ქართველი ერის ისტორიის შესავლის» III წიგნის მასალას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, უნდა დავასკვნათ:

1. ივანე ჯავახიშვილს “ქართველი ერის ისტორიის» დაწერა თავდაპირველად 4 წიგნად ჰქონდა განზრახული, რომელიც მოგვიანებით 5 წიგნად იქცა.;

2. 1928 წლისთვის ივანე ჯავახიშვილს “ქართველი ერის ისტორიის» შესავლის სამწიგნეულის გამოცემა აქვს ჩაფიქრებული;

3. ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში, 1937 წ. გამოიცა ამ სამწიგნეულის II წიგნი სათაურით: “ ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა»;

4. მეცნიერის სიკვდილის შემდეგ გამოიცა “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები», რომელშიაც მოექცა “ქართველი ერის ისტორიის» შესავლად განკუთვნილი სამწიგნეულის I და III წიგნის მასალები.

ახლა ახალი კითხვა უნდა დაისვას: არის თუ არა ეს “შესავალი» ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო შენობის სამირკველი? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი აქვს, რასაც მეცნიერის მითითებები ადასტურებს. მოვიყვან სათანადო მაგალითებს.

1916 წ. გამოიცა გამორჩეული სათაურისა და მიზანდასახულობის ნაშრომი: “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა»-ს I წიგნი “ძველი ქართული საისტორიო მწერლობა». მოვუსმინოთ თავად ავტორს: “წინამდებარე თხზულება “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა», რომლის პირველი წიგნი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვას შეეხება, სამ წიგნად არის განზრახული და საისტორიო მეცნიერების შესავლადაა განკუთვნილი. ეს პირველი წიგნი მის ავტორს ამასთანავე “ქართველი ერის ისტორიის» შესავლადაც მიაჩნია» ( ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [22, 20]. ნათელია, რომ მეცნიერი ამ სერიის I წიგნს “ძველი ქართული საისტორიო მწერლობას» ორმაგ ფუნქციას აკისრებდა: იგი ერთდროულად უნდა ყოფილიყო, როგორც “საისტორიო მეცნიერების შესავლის» ერთ-ერთი წიგნი, ისე “ქართველი ერის ისტორიის» შესავალიც.

რა უნდა ყოფილიყო დანარჩენ 2 წიგნში განხილული? ავტორი ამის შესახებ შემდეგს გვეუბნება: “ მეორე წიგნი ორნაწილედ იქნება. პირველს ნაწილში საქართველოს და ქართველთა ისტორიის დანარჩენი წყაროები იქნება განხილული, ხოლო მეორე ნაწილში კი უცხოეთის საისტორიო მწერლობის განვითარების მიმოხილვა მოთავსდება. ამ მიმოხილვაში ჩვენი მეზობლების ბერძენ-ბიზანტიელთა, სომეხთა და სპარსთა საისტორიო მწერლობის განხილვას განსაკუთრებული ადგილი ექმნება დათმობილი. მესამე წიგნში გამორკვეული იქმნება “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები» თანამედროვე მეცნიერებისდა მიხედვით» [22, 20].

დავაკვირდეთ! “ისტორიის მიზანი» 1916 წ. გამოიცა და ამ დროისთვის ივანეს უკვე აქვს თავისი სამომავლო სამეცნიერო შემოქმედების გეგმა განსაზღვრული. თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავისი გეგმის განხორციელება ვერ შეძლო. [2, 25; 6, 9]. ეს მოსაზრება არაა სწორი. ივანე ჯავახიშვილმა ვერ შეძლო განზრახული სერიის ყველა წიგნის დაწერა, თორემ მან ნაწილი წიგნებისა, რომლებიც ამ სერიაში შედიან, დაწერა და გამოსცა კიდევაც. კვლავაც ფაქტებს მოვუხმობთ.

ივანე ჯავახიშვილის 12 ტომეულის IX ტომი საისტორიო დარგებს ეძღვნება და აქ ერთადაა თავმოყრილი “ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია», “ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა» და “ქართული საფას-საზომმცოდნეობა ანუ

ნუმინმატიკა-მეტროლოგია». ამ შრომებს თავ-თავისი რედაქტორები ჰყავს, მაგრამ ტომს დართული აქვს ტომის საერთო რედაქტორის ე. მეტრეველის სარედაქციო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ეს ნაშრომები “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა»-ს სერიას განეკუთვნება [7, 5]. მაშასადამე, ამ სამი წიგნის არსებობა აბათილებს ზემოთმოყვანილ მოსაზრებას, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავისი გეგმის განხორციელება ვერ შეძლო. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომამ გამოცემის თავფურცელზე არაა ის მითითება მოცემული, რაც ავტორის სიცოცხლეში გამოცემულ ამ სამივე ნაშრომს ჰქონდა. თუ მეცნიერის პირად არქივში ჩავიხედავთ, იქ “ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია»-ს ხელნაწერის თავფურცელზე წავიკითხავთ:

“ ივ. ჯავახიშვილი

ისტორიის

მიზანი, წყაროები და მეთოდები

წინათ და ახლა

წიგნი III

ნაწილი I. ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დარგები

ნაკვეთი პირველი

ქართული დამწერლობათმცოდნეობა

ანუ

პალეოგრაფია» [34, ფ. 1]

ივანე ჯავახიშვილის ეს ავტოგრაფი მეტად საინტერესო ინფორმაციას გვამღევს მეცნიერის სამეცნიერო მიზნებზე და გაუგებარია, რატომ არ აქცევენ ყურადღებას გამომცემლები ამგვარ ფაქტებს? მოყვანილი მაგალითიდან ცხადი ხდება, რომ ივანე ჯავახიშვილს თავისი “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათდა ახლა»-ს III წიგნი რამდენიმე ნაწილად აქვს წარმოდგენილი. რადგანაც I ნაწილი უკვე დასახელებულია, ყოველ შემთხვევაში 2 ნაწილი მაინც იქნებოდა. ამ I ნაწილში რამდენიმე ნაკვეთი შედის, რომელთა ზოგადი სათაურია “ისტორიის სამეცნიერო დამხმარე დარგები». მეორე ნაწილი ალბათ “ისტორიის ფილოსოფიას» მიეძღვნებოდა, რომლის შესახებ არაერთხელ უთითებდა მეცნიერი [19, 403-404; 26, 68], მაგრამ დაწერა მართლაც ვერ მოასწრო.

გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილის ამ სერიაში უნდა ვიგულისხმოთ “ძველი სომხური საისტორიო მწერლობა». მეცნიერის სიცოცხლეში ამ ნაშრომის I ნაწილი გამოქვეყნდა და მას თავფურცელზე რატომღაც არ აწერია ეკუთვნის თუ არა იგი ზემოთნახსენებ სერი-

ას?. თუმცა ავტორი ამ ნაშრომის შესავალში პირდაპირ მიუთითებს: “სომხური საისტორიო მწერლობა პირადად, ქართულის მსგავსად, ისტორიკოსთა მიზნებისა და მეთოდების მხრივ და კულტურულ-სოციალური ისტორიის თვალსაზრისით მაინტერესებდა»-ო [25, 270]. ეს გარემოება ბექდვის ლაფსუსად უნდა მივიჩნიოთ და “ძველი სომხური საისტორიო მწერლობა» რომლის დანარჩენი ნაწილები მეცნიერის პირად არქივში ინახება, “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა»-ს I წიგნის II ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

ამდენად, ჩემი ზრით ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის მეტნაკლებად სრული გამოცემისას, ასეთად კი აუცილებლად მოიაზრება მეცნიერის 12 ტომეული, ნაშრომთა დალაგება ისე უნდა მომხდარიყო, როგორც ეს თავად ავტორს ჰქონდა განზრახული. ივანე ჯავახიშვილის აზრით მისი სამეცნიერო შენობის საძირკველია “საისტორიო მეცნიერების შესავალი», რომლის ზოგადი სათაურია «ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა» და შედგება ცალკეული წიგნებისაგან. მას მოსდევს “ქართველი ერის ისტორიის შესავალის» სამწიგნეული. ამის შემდეგ მოდის ივანე ჯავახიშვილის ძირითადი მიზნის ამსახველი შრომა “ქართველი ერის ისტორიის» ხუთწიგნეული. მხოლოდ ამას შეიძლება მოჰყვეს მეცნიერის ცალკეულ თემაზე დაწერილი დარგობრივი მონოგრაფიები, რომლებიც ქართული სამართლის, მუსიკის, ეკონომიკის, ყოფისა და ხელოვნების საკითხებს ეძღვნებიან.

ახლა შევეხოთ თავად მეცნიერის ნაშრომთა შერჩევისა და დაჯგუფების საკითხს.

12 ტომეულის IV და V ტომებში მითავსებულია “საქართველოს ეკონომიური ისტორია». მასში შევიდა მეცნიერის გადამუშავებული და 1934 წ. გამოცემული შრომისა და მასალების სახით დარჩენილი ნაწილები. ამავე დროს XII ტომში დაიბეჭდა იგივე ნაშრომის პირველი ვარიანტი, რომელიც პირველად 1907 წ. გამოიცა. ამ ტომში საერთოდ მეცნიერის ადრინდელი ნაშრომებია მოთავსებული. ჩემი აზრით, ორივე ვარიანტის გამოცემა გამართლებულია, რადგანაც მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გაადევნოს მეცნიერის მსჯელობისა და დებულებების ევოლუციას.

ანალოგიური ვითარებაა “ქართული სამართლის» დაბეჭდვის შემთხვევაშიც. ეს ნაშრომი 12 ტომეულში VI და VII ტომებს იჭერს, ხოლო მისი წინამორბედი გამოკვლევები “საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია « [15] და “Государственный строй древней Грузии и древней Армении» [11] XII ტომშია მოთავსებული, რომლებიც 1905 წწ. გამოიცა. არა მგონია საკამათო იყოს ამ შრომების “ქართული სამართლის ისტორიის» წინამორბედობა, მაგრამ მაინც ჯობია თავად მეცნიერმა გვითხრას თავისი აზრი. იგი მ. ჯანაშიელთან სამეცნიერო კამათში მიუთითებდა: “1905 წ. გამოქვეყნებულ გამოკვლევაში “საქართველოს მეფე» (იგულისხმება “საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია», დ.ს.), მე-7 გვერდზე შენიშვნაში ვწერდი: “ჩვენ არ ვეხებით აქ ამ საკითხს, თუ როგორ დაარსდა თვითეულ ამ ქვეყანაში (ე.ი. კახეთში, აფხაზეთში და სხვაგან) მეფის უფლება: ამას ჩვენ ცალკე განვიხილავთ, ეხლა ჩვენ მხოლოდ შეერთებულ საქართველოს მეფის უფლების ისტორიის შესწავლა გვსურს. ის რაც 1905 წ. ჯერ დამთავრებული არ იყო, ეხლა დაწერილი მაქვს და დასაბეჭდად დამზადებულ გამოკვლევაში “ქართული სამართლის ისტორია» შეტანილია». [22, 413].

სამწუხაროდ ეს სწორი მიდგომა ამით ამოიწურება. იგივე პრინციპი, რატომღაც სხვა პირველხარისხოვან შრომებთან დავიწყებულია. ასე მაგალითად, “ქართველი ერის ის-

ტორიის» I ტომი მეცნიერის სიცოცხლეში პირველად გამოიცა 1908 წ. შემდეგ 1913 და ბოლოს 1928 წლებში. ივანე ჯავახიშვილი ყოველ ახალ გამოცემაში იმდენად ავრცობდა კვლევის საზღვრებს, რომ ყველაფერი იცვლებოდა. ამის შესახებ თავად ავტორი II გამოცემის წინასიტყვაობაში გვეუბნება: «ამ თხზულების პირველი წიგნი წინადაც იყო დაბეჭდილი, მაგრამ ეხლა იგი იმდენად გადაკეთებული და შევსებული არის, რომ თითქმის ახალ გამოცემად უნდა ჩაითვალოს» [18, 35]. რაც შეეხება მესამე გამოცემას, მის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერდა: «ქართველი ერის ისტორიის პირველი წიგნის მესამე გამოცემა ... მეორე გამოცემისაგან გეგმითაც და შინაარსითაც თვალსაჩინოდ განსხვავდება. იგი ძალზე შევსებულია და გადამუშავებული. ამ წიგნის ორ მესამედზე მეტი სრულებით ახალია» [18, 39]. აქვე უნდა ვთქვა, რომ როცა «ქართველი ერის ისტორიის» I ტომის პირველი გამოცემა განხორციელდა, ივანე ჯავახიშვილი ნიკო მარის მოძღვრების მიმდევარი იყო, რომელიც შემდეგ უარყო. ყველაფერი ეს აისახა ამ შრომის გამოცემებში. მგონინათელია, რისი თქმაც მინდა: ივანე ჯავახიშვილის «ქართველი ერის ისტორიის» ყველა ვარიანტი უნდა დაბეჭდილიყო. ამ გამოკვლევაში მეცნიერს არანაკლებ საინტერესო დებულებები აქვს განხილული და ამ დებულებების ცვლილებათა ევოლუცია უფრო საინტერესოა ვიდრე ეს «საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში» ან «ქართული სამართლის ისტორია»-შია მოცემული.

იგივე ითქმის ამავე ნაშრომის – «ქართველი ერის ისტორიის» ბოლო ტომებზეც. 12 ტომეულის III ტომის დაკომპლექტებისას რედაქტორი გვიმხელს: «რედაქციამ შეისწავლა III ტომის ხელნაწერები და ე.წ. “ვრცელ ვარიანტთან» შედარებით უპირატესობა მისცა “მოკლე ვარიანტს» [3, 05]. ამჯერად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ არგუმენტაციას, თუ რატომ მიანიჭეს უპირატესობა ერთ ვარიანტს მეორესთან შედარებით. მთავარი ისაა, რომ უპირანი იყო ორივე ვარიანტის ერთად დაბეჭდვა.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო პოზიციამაც უხეში ჩარევად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, როცა მეცნიერის აზრის იგნორირებით ნაშრომი მიეხმება სულ სხვა რიგის გამოკვლევას. მაგალითად, 12 ტომეულის VI ტომში, სადაც «ქართული სამართლის ისტორია» მოთავსებული, დაბეჭდილია ივანე ჯავახიშვილის “სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII ს-ნეში». ამ შრომის შესავალში ავტორი გარკვევით მიუთითებდა: “ საქართველოს ეკონ. ისტორიის ბეჭდვა ფერხდება ... საქართველოს ისტორიისათვის კი ამ ფაქტების ცოდნაა საჭირო. ამიტომ ამ ნაწილების “საქართველოს ეკონ. ისტორიიდან» **დროებით ამოღება და ცალკეულ პატარა მონოგრაფიად გამოქვეყნება ვამჯობინე**»[(ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [20, 341]. მგონი ყველაფერი ნათელია, მაგრამ კიდევ ერთ ციტატას მოვიყვან, სადაც მეცნიერი კიდევ უფრო დაბეჯითებით იმეორებს თავის პოზიციას დამას კიდევაც: განმარტავს “ქართული სამართლის ისტორიაში» მოთხრობილი გვაქვს ... ბრძოლის მიმდინარეობა ... როგორც წოდებრიობის გარშემო, ისევე ხელისუფლების გამოც. იქვეა აღნიშნული მაშინდელი იდეალებიცა და მოძღვრებაც საკუთრებასა და შრომაზე, **ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და ბრძოლა კი “საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში» გვაქვს განსახილველი**»(ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [20, 341-342].

ივანე ჯავახიშვილის შრომების გამოქვეყნების არაადექვატურობაზე მეტყველებს მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული 4 წიგნეული ზოგადი სათაურით: “მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის» 4 ნაკვეთად:



1. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში; [27]
2. საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი [28]
3. ტანისამოსი, ქსოვილები, ხელსაქმე [29]
4. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე [29] . ეს ბოლო 2 ნაკვეთი ერთ წიგნად გამოქვეყნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ “ნაკვეთების» გამოცემის საქმეში სხვადასხვა ფუნქციითა და დატვირთვით ჩართულნი იყვნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, ი. აბულაძე და გარდაცვლილი მეცნიერის შვილები ნათელა და ალექსანდრე ჯავახიშვილები, დაშვებულაქნა მეტად სერიოზული შეცდომა: მათ ყურადღება არ მიაქციეს ივანე ჯავახიშვილის საარქივო მასალებში “ქართული ხელოვნების ისტორიის» სათანადო ფურცლებს, რომლებიც სხვადასხვა საქალაქებში იყო გაბნეული და ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ სხვა მასალებთან ერთად დაბეჭდეს.

ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში ივანე ჯავახიშვილი ინტენსიურად მუშაობდა ქართული ხელოვნების საკითხებზე და 1913 წლისთვის უკვე დასრულებული და სასტამბოდ გამზადებული აქვს ნაშრომი “ქართული ხელოვნების ისტორია». პირველად ამის შესახებ მეცნიერი 1913 წ. თავისი “ქართველი ერის ისტორიის» მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში მიუთითებს [18, 37] და ბოლოს მას 1916 წ. “ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ისტორიაში» ახსენებს [22, 345]. შემდეგში ამ ნაშრომს არც ავტორი იხსენიებს სადმე და არც მისი ბიოგრაფები და მკვლევარები გვეუბნებიან რამეს. ამ გამოკვლევის ხელნაწერი ივანე ჯავახიშვილის პირად არქივშია დაცული, ოღონდ მისი ფურცლები სხვადასხვა საქალაქებშია გაბნეული. საქმე ისაა, რომ ივანე ჯავახიშვილმა, რადგან თავის დროზე “ქართული ხელოვნების ისტორიის» დაბეჭდვა ვერ მოახერხა, მოგვიანებით, როგორც ჩვეოდა, მისი გაფართოება და გაღრმავება დაიწყო და სრულიად ახალი ნაშრომის სახე მიიღო. 1926 წ. გამოიცა ივანე ჯავახიშვილის “ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია». მასში ერთგან ხატის სახეობათა შესახებაა საუბარი და იქვე მითითებულია: “ამის დამამტკიცებელი საბუთები მოყვანილი იქნება ცალკე გამოკვლევაში ქართული ხელოვნებისა და შინაური ყოფა-ცხოვრების შესახებ» [23, 40]. მანამდე კი “ ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფიის» წინასიტყვაობაში, რომელიც დაწერილია 1925 წ. 9 თებერვალს, აღნიშნულია, რომ ამ მონოგრაფიის დამუშავება დაიწყო პეტერბურგში 1914 წ. და დასრულდა 1918-21 წწ. რადგანაც, ივანე ჯავახიშვილს წიგნის სტამბაში მიტანამდე ყოველთვის შეეძლო მასში დამატების შეტანა, ცხადია, რომ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია თუ 1918-1921 წლებში არა, უეჭველად 1925 წ. 9 თებერვლამდეა ჩართული. თუ აქამდე მეცნიერი თავის დაუბეჭდავ ნაშრომზე ზუსტად უთითებდა “ქართული ხელოვნების ისტორიაზე», ამის შემდგომ კი ეს ვითარება იცვლება ჩნდება ასეთი მითითებები:

1. “ამის დამამტკიცებელი საბუთები მოყვანილი იქნება ცალკე გამოკვლევაში ქართული ხელოვნებისა და შინაური ყოფა-ცხოვრების (ხაზი ჩემია, დ.ს.) შესახებ» [23, 40].
2. “გვირგვინი სხვადასხვა სახეობისა და მოყვანილობისა არსებობდა და, როგორც საქართველოს მეფეთა სურათებითგან ჩანს, დროთა განმავლობაში საქართველოს მეფის გვირგვინიც არა ერთხელ უნდა ყოფილიყო შეცვლილი, მაგრამ რაკი ეს საკითხი ნივთიერი კულტურისა და ყოფაცხოვრების ისტორიას (ხაზი ჩემია, დ.ს.) ეხება და ამისათვის

განსაკუთრებული შრომა მაქვს დამზადებული, ამიტომ აქ («ქართული სამართლის ისტორიაში», დ.ს.) ამაზე აღარაფერია სათქმელი» [21, 157].

3. “დარბაზობის ცერემონიალის წესების აღსადგენად და შესწავლისათვის საკმაო საგულისხმო ცნობებია შენახული მეტადრე “კარის გარიგებაში», ისე რომ თითქმის მთლიანი სურათის წარმოდგენა შეიძლება, მაგრამ რაკი ეს უკვე ნივთიერი კულტურისა და ზნე-ჩვეულებათა ისტორიის (ხაზი ჩემია, დ.ს.) სფეროა, ამიტომ “ქართული სამართლის ისტორიაში-ში ამაზე საუბარი საჭირო არ არის» 21, 186].

4. “რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა, თუმცა ექიმები მუშაობას მიკრძალავენ ... მაგრამ რაკი საქართველოს ყოფა-ცხოვრების და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე (ხაზი ჩემია, დ.ს.) ჩემს გარდა არავინ მუშაობს, ამიტომ უნებლიეთ ამ მძიმე ტვირთის აღება მომიხდა» [31, 44]

ანალოგიური ცნობები მის საარქივო მასალებშიცაა, მაგრამ ამჟამად მათ არ გამოვეკიდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ახალი ნაშრომის სათაური მეცნიერს ბრჭყალებში არსად არაა აქვს მოცემული, რადგანაც იგი ჯერაც არ ჰქონდა დასრულებული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული. თუმცა მკვლევარის პირადი არქივის ერთი ფურცელი ასეთ, შედარებით დასრულებულ სათაურს გვიცხადებს:

“ ივ. ჯავახიშვილი

ყოფა-ცხოვრების წესებისა

და

ზნე-ჩვეულებების

და

ნივთიერი კულტურის

ისტორია» [36]

ამდენად, ნათელია რომ თავად ივანე ჯავახიშვილის ხელითვე “ქართული ხელოვნების ისტორიის» ფურცლები ამ ახალი შრომის სხვადასხვა თავებსა და პარაგრაფებში მოხვდა. თუმცა მეცნიერმა მისი დასრულება ვერ მოასწრო და იგი მასალების სახით შემოგვრჩა და ეს მასალები გამოქვეყნდა “ნაკვეთების» სახით.<sup>2</sup> მაგრამ საკითხავი ისაა თუ როგორ გამოქვეყნდა ისინი. სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდე, ვიტყვი, რომ ისინი 12-ტომეულში შეტანის ღირსად არ უცვნიათ. გარდა ამისა, ხელნაწერებიდან ერთ-ერთს, რომელიც ედო “ნაკვეთებს» საფუძვლად, თავშივე ედო ფურცელი, რომელზეც ეწერა;

---

<sup>2</sup> ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. [8].

“ივ. ჯავახიშვილი

ქართული ხელოვნების

ისტორია» [35, ფ. 1].

ეს ყველამ წაიკითხა და ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობაშიც მიუთითეს [38, 47], მაგრამ გამოცემისას არ გაითვალისწინეს. ახლა შევეხოთ უშუალოდ გამოცემის ავ-კარგს.

I ნაკვეთის “ მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში» რედაქტორი ილია აბულაძე წერს: “გამოცემისათვის გამოყენებულ იქნა ერთი მხრით, თვით ავტორის ხელნაწერი ნაშრომი (რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დროს ნაწერსა და შენიშვნებს, ნაწილობრივ დამუშავებულთ, წინასწარი შენიშვნებისა და ამონაწერების სახით), და, მეორე მხრით, ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერები. ამ ორი წყაროს ერთი-მეორის მიშველებით შეიქმნა შესაძლებელი ნაშრომს წინამდებარე სახე მიიღო. საფუძვლად მას, ძირითადად, (ხაზი ყველგან ჩემია, დ.ს.) განსვენებული მეცნიერის ხელნაწერი უდევს» [27, V]. ამდენად, როგორც რედაქტორი გვეუბნება, ორი წყარო – ხელნაწერი და ლექციის სტენოგრამა ერთმანეთს “მიაშველეს” და ისე შექმნეს ივანე ჯავახიშვილის არა ავთენტური, არამედ რედაქციისეული ვერსია. და ყოველივე ამას თურმე საფუძვლად უდევს მეცნიერის ხელნაწერი “ძირითადად». გარდა ამისა რედაქტორი მიუთითებს, რომ “არც არის ამ მასალებში ნაშრომის კარებად ან თავებად დანაწევრება. იგი აქ რედაქციას ეკუთვნის» [27, V]. მაგრამ არავინ გვიხსნის რატომ დასჭირდა რედაქციას ეს ოპერაცია? ნაშრომი დასრულებული არ იყო და კარებად და თავებად დაყოფა იქ არც იქნებოდა, მაგრამ ჯავახიშვილისეული გეგმა ხომ თავად მათ მიერ გამოცემულ “ნაკვეთშიცაა» ჩართული მე-4 გვერდზე სადაც ავტორი გვეუბნება რომ შრომა 4 ნაწილად მექნება დაყოფილიო? [27, 4] გამოცემულ “ნაკვეთებში» კი 7 კარია.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან ამ “ნაკვეთიდან». მასში 75-ე გვერდზე თხრობა იწყება შემდეგი აზრით: “საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უმთავრესი ადგილი ღვთისმსახურების ტაძრებს უჭირავს» [27, 75]. იგი აღებულია ხელნაწერის 941-ე ფურცლიდან, სადაც მას წინ უძღვის ასეთი ფრაზა “დავიწყებთ კიდევ ჩვენს გამოკვლევას» [ 35, ფ. 941]. ეს რომელიღაც წინადადების დასაწყისია, მაგრამ იგი არავის უძებნია. ადგნენ და მითითების გარეშე ამოიღეს. თუ კარგად ჩავიხედავთ ხელნაწერში ამავე საქმის 138-ე ფურცელზე ვიპოვით ამ წინადადების დასაწყისს. ვნახოთ იგი და მერე განვსაჯოთ ამოსაღები იყო თუ არა: “რაკი ქართული ხელოვნების შესწავლას ქრისტიანობის ხანითგან ვიწყებთ, შესასწავლ მასალად რასაკვირველია უმთავრესად ეკლესიები და საყდრები გვექნება იმიტომ, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებს ხალხი უფრო მეტის მზრუნველობით ეპყრობოდა და უფრო თხილდებოდა, ამასთანავე თვით ამგვარი შენობები უფრო ბევრი იყო და მთელი ქვეყნის გულზე იყო მოფენილი, სამეფო სასახლეები და საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები კი ციხე-ქალაქებში იყვნენ აგებული. აქ კი ჟამის უკუღმართობა და ბედის ტრიალი, მტრების თავდასხმა და ქვეყნის აოხრება უფრო ხშირი იყო და

მკაცრად იყო ხოლმე საგრძნობელი: მტრები სცარცვავდნენ, ანგრევდნენ სასახლეებს, მიჰქონდათ რაც კი რამ მოიძებნებოდა. ამით აიხსნება საერო ხუროთმოძღვრების ნაშთი საქართველოში ცოტა არის შენახული: ამავე მიზეზის გამო ქართულ სახუროთმოძღვრებო ხელოვნებიდან საფუძვლიანად ჯერ-ჯერობით მხოლოდ საეკლესიო ხუროთმოძღვრების დარგის შესწავლა შეიძლება. სწორედ ამ საგნით [35. ფ. 138] დავიწყებთ კიდევ ჩვენს გამოკვლევას» [ 35, ფ. 941]. მგონი კომენტარი ზედმეტია.

როგორც ზემოთ ვახსენე, ივანე ჯავახიშვილის “მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის» 4 ნაკვეთად გამოიცა. მეცნიერის ქალიშვილმა ნათელა ჯავახიშვილმა კიდევ ერთი ნაკვეთი მოამზადა, თუმცა მისი გამოცემა ვერ მოხერხდა. იგი დღეს ინახება თსუ მუზეუმში და მისი სათაურია “მასალები საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების ისტორიისათვის», თუმცა არსად არაა მითითებული, რომ ეს უკანასკნელი დანარჩენ 4-თთან ერთად არის ერთი გამოკვლევის ნაწილები. როგორც ზემოთ ვახსენე, ამ შრომას ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ეწოდება: “ყოფა-ცხოვრების წესებისა და ზნე-ჩვეულებების და ნივთიერი კულტურის ისტორია». ნ. ჯავახიშვილი გამოსაცემად გამზადებული ხელნაწერის წინათქმაში “გამომცემლისაგან» წერს: “მთელი რიგი საკითხები (ეს უმთავრესად შეეხება ნაშრომის შესავალ ნაწილს) აკად. ივ. ჯავახიშვილს “ქართული სამართლის ისტორიაში» ჰქონდა განხილული, რასაკვირველია სამართლის ისტორიის თვალსაზრისით. ვინაიდან ივ. ჯავახიშვილის ეს გამოკვლევები (“ქართული სამართლის ისტორია») ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო წინამდებარე ნაშრომში განხილული ზოგიერთი საკითხებისთვის სასურველია მისი შინაარსის ცოდნა, **ხარვეზები, ისეთ შემთხვევაში, სადაც თვით მასალა მოითხოვდა, შევავსეთ “სამართლის ისტორიის» სათანადო ადგილებით»** (ხაზი ჩემია, დ.ს.) [30, IV]. ჩნდება კითხვა: არის კი ასე გამოცემული ტექსტი ავთენტური?

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავზე აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა: დღეს “არასასურველი დროა განსვენებული აკადემიკოსის ივ. ჯავახიშვილის პიროვნებისა და მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენადმე სრული შეფასებისათვის. გვწამს, ქარიშხალი გადაივლის, სიმართლის მზე კვლავინდებურად ინათებს და დროც დადგება, როცა ეროვნული კულტურის ამ დიდ მოღვაწეს შესაფერისად და ღირსეულად შეაფასებენ მისი დაზრდილები». [1] ეს სიტყვები წარმოითქვა 1941 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან 1 წლის გავლის შემდეგ. ქარიშხლის გადავლისა არ ვიცი, მაგრამ სიმართლის მზის ნათების დრო კი დიდი ხანია დადგა და იქნებ დიდი მეცნიერისა და მოამაგის მომავალ იუბილეს მაინც შევხვდეთ მისი შრომების სრულყოფილი გამოცემით. პიარკომპანიებს თუ შევეშვებით, რომლებიც მხოლოდ ჩვენზეა გათვლილი და არა სახელოვან წინაპარზე, ყველა ძეგლზე დიდი ძეგლი ეგ იქნება და იქნებ აქედანვე დავიწყეთ მზადება.

*ს.ს.ორბელიანის სახელობის თბილის სახელმწიფო  
პედაგოგიური უნივერსიტეტი  
თბილისი 2006 წ. 10 აპრილი*

## მითითებული ლიტერატურის სია

1. ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წ. 18 ნოემბერს; იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.
2. მ. დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის ადრეული შემოქმედება, (1898-1912წწ.), თბ., 1984;
3. მ. დუმბაძე, რედაქტორისაგან, იხ. ივანე ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. III, თბ., 19
4. ერთი კუროზის შესახებ, გაზ. "ქართული წიგნი», 2001 წ. № 8;
5. ვ. კიკნაძე, "შეცდომების გასწორება ტექსტში არ შეიძლება» ანუ "ქართველი ერის ისტორიის» მესამე წიგნის თავგადასავალი, ჟურნალი "საქართველო: ევროპა-ამერიკა», 1997, № 2;
6. მ. ლორთქიფანიძე, რედაქტორისაგან, წიგნში: ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ. 1977;
7. ე. მეტრეველი, რედაქტორისაგან, ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. IX, თბ., 1996;
8. დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბ., 2002 წ.;
9. გ. ჩიტაია, პირველი გამოცემის რედაქტორისაგან, ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. XI, თბ., 1998;
10. გ. ჩიტაია, ივანე ჯავახიშვილი და ქართველთა ეთნოგენეზის საკითხები, წიგნში: კრებული მიძღვნილი აკადემილოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 1977 წ.;
11. ივანე ჯავახიშვილი, Государственный строй древней Грузии и древней Армении. Т. I. СПб. 1905. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, Кн. VIII;
12. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფ. 1907 წ.;
13. ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, ტფ., 1928 წ.;
14. ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფ., 1929 წ.;
15. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია ტფ, 1905;
16. ივანე ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, წიგნში: ივანე ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956;
17. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960; ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით;
18. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979;

19. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. III, თბ., 1982;
20. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. VI, თბ., 1982;
21. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1984;
22. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977;
23. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. IX, თბ., 1996
24. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. X, თბ., 1992;
25. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. XI, თბ., 1998;
26. ივანე ჯავახიშვილი, თხუზელაბანი 12 ტომად, ტ. XII, თბ., 1998;
27. ივანე ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946 წ.;
28. ივანე ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. II. შაფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი, თბ., 1965 წ.;
29. ივანე ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III. ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე;  
IV. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე. თბ., 1962 წ.;
30. ივანე ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. მანქანაზე ნაბეჭდი სასტამბოდ გამზადებული ეგზემპლარი ინახება თსუ მუზეუმში.
31. ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები. პირადი მიმოწერა. თბ., 1996 წ.;
32. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალები. № 286\_II. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;
33. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალები. № 289; დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;
34. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალები. № 334; დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;
35. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალები. № 340; დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;
36. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალები. № 390; დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;
37. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალები. № 1438; დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;
38. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა. თბ., 1976.